ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2009469

ნომერი: AR1325413

თარიღი : 11.07.2015

გაცემის თარიღი : 13.07.2015

გაცნობის თარიღი : 14.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა რუისი , N 11 და N13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ბაირამაშვილი პ/ნ 01024066547
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "მეტეხის წარბი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406030566
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბორის პაიჭაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009013551

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ბრძანება#427384
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 12.11.2012

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით ბაირამაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლენილ იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. არ არის წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის განმარტებითი ბარათი სამუშაოების, მათ შორის კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოების დეტალური აღწერით და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებით;
2. არ არის წარმოდგენილი გენგეგმა;
3. ჭრილებსა და ფასადებზე სრულყოფილად იქნეს დატანილი ყველა საჭირო ნიშნული;
4. წარმოდგენილი უნდა იქნეს სრულყოფილი მშენებლობის ორგანიზების პროექტი (წარმოდგენილია მხოლოდ მშენებლობის ორგანიზაციის გრაფიკი);
5. წარმოდგენილი უნდა იქნეს კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი (იმ შემთხვევაში, თუ კორექტირება არ საჭიროებს კონსტრუქციული ნაწილის კორექტირებას, წარმოდგენილი უნდა იქნეს კონსტრუქტორის შესაბამისი განმარტებითი ბარათი);
6. არ არის წარმოდგენილი საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გასწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.